

გლიკოზირებული ჰემოგლობინი (HbA1c)

გლიკოზირებული ჰემოგლობინი ფორმირდება ჰემოგლობინის არაფერმენტული გლიკოლიზაციის შედეგად, რაც სისხლში მაღალი გლუკოზის არსებობით არის განპირობებული. ეს პროცესი შეუქცევადია და პირდაპირ კავშირში არის სისხლში გლუკოზის კონცენტრაციასთან.

რატომ კეთდება გლიკოზირებული ჰემოგლობინის ტესტი ?

გლიკოზირებული ჰემოგლობინის ტესტი კეთდება დიაბეტიან პაციენტებში მკურნალობის ეფექტურობის შესაფასებლად.

როგორ მოვემზადოთ ანალიზისთვის და რა არის საჭირო ანალიზის გასაკეთებლად?

სპეციალური მომზადება საჭირო არ არის. ანალიზის გასაკეთებლად საჭიროა ვენური სისხლი.

რას ნიშნავს მომატებული გლიკოზირებული ჰემოგლობინი (HbA1c)?

ნორმაში გლიკოზირებული ჰემოგლობინი დიაბეტიან პაციენტებში უნდა იყოს <7%-ზე, არადიაბეტიან პაციენტებში <5%-ზე.

გლიკოზირებული ჰემოგლობინის პროცენტული მაჩვენებელი შეესაბამება სისხლში გლუკოზის საშუალო კონცენტრაციას ბოლო 4-6 თვის განმავლობაში.

4% HbA1c - 65mg/dL სისხლში საშუალო გლუკოზის კონცენტრაცია

5% HbA1c - 100mg/dL სისხლში საშუალო გლუკოზის კონცენტრაცია

6% HbA1c - 135mg/dL სისხლში საშუალო გლუკოზის კონცენტრაცია

7% HbA1c - 170mg/dL სისხლში საშუალო გლუკოზის კონცენტრაცია

8% HbA1c - 205mg/dL სისხლში საშუალო გლუკოზის კონცენტრაცია

9% HbA1c - 240mg/dL სისხლში საშუალო გლუკოზის კონცენტრაცია

10% HbA1c - 275mg/dL სისხლში საშუალო გლუკოზის კონცენტრაცია

11% HbA1c - 310mg/dL სისხლში საშუალო გლუკოზის კონცენტრაცია

12% HbA1c - 345mg/dL სისხლში საშუალო გლუკოზის კონცენტრაცია

ტესტის მაღალი მაჩვენებელი ნიშნავს, რომ ბოლო თვეების განმავლობაში სისხლში გლუკოზის კონცენტრაცია იყო მაღალი. რაც თავისთავად წარმოადგენს შემდეგი პათოლოგიების განვითარების რისკს:

- მიოკარდიუმის ინფარქტი
- დიაბეტური ნეფროფათია
- დიაბეტური ტერფი
- დიაბეტური ნეიროპათია
- პერიფერიული სისხლძარღვების დაზიანება
- დიაბეტური რეტინოპათია
- ინსულტი

კიდევ რა დასახელებით შეიძლება შეგვხვდეს?

გლიკოჰემოგლობინი

საჭირო ინფორმაცია

პაციენტებს, რომლებსაც აღენიშნებათ ხშირი სისხლდენები ან ჰემოლიზური ანემიები, აქვთ ცრუ უარყოფითი შედეგები.